# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი 14.01.2011წ.

შ.პ..ს. "სერვისკომი" წარმოდგენილი მისი დირექტორის ჰასან ჩელიქის სახით, შემდგომში გამყიდველი, ერთის მხრივ და თბილისის სსიპ №72 სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის ნათელა ნატროშვილის სახით, შემდგომში მყიდველი, მეორეს მხრივ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1. გამყიდველი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ყოველთვიურად 4 ცალ 15 ლარიანი ნომინალის ასტრა ბარათებს (შემდგომში პროდუქცია), რომლის ფასს მყიდველი იხდის წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად.

## 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 მყიდველი ვალდებულია:

2.1.1 გადაუხადოს გამყიდველს პროდუქციის ღირებულება, ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად;
2.1.2 მიაწოდოს ინფორმაცია გამყიდველს პროდუქციის მოწოდების შესახებ;
2.2 გამყიდველი ვალდებულია:
2.2.1 მყიდველის მოთხოვნისთანავე გადასცეს მყიდველს პროდუქცია.
2.2.2 პროდუქციის შესყიდვისას გამოწეროს სასაქონლო ზედნადები.

## 3. ფასი და ანგარიშსწორება

3.1 ხელშეკრულების ფასი შეადგენს 720 (შვიდასოცი) ლარს.
3.2 ანგარიშსწორება წარმოებს წინასწარი გადახდის პირობით.
3.3 ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით.

## 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 6. სადავო საკითხების გადაწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 7. დასკვნითი დებულები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება სრულიად ასახავს მხარეთა კონსესუსს და არანაირი ზეპირი ცვლილება ან დამატება არ განიხილება, როგორც ამ ხელშეკრულების შემადგენილი ნაწილი;
7.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ პირად, ერთი პირი გადაეცემა გამყიდველს და ერთი პირი მყიდველს. ორივე პირს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

**გამყიდველი**

შ.პ.ს. "სერვისკომი"
ქ. თბილისი, პეკინის ქ.№24
ს.ს. "საქართველოს ბანკი" ც/ფ
მფო: 220101502 ა/ა 152580300
ს/კ: 204998119
ტელ: 37-67-10

/ ჰასან ჩელიქი/

**მყიდველი**

თბილისის სსიპ №72 სკოლა
ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №2
ს.ს. "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ა GE31LB0121180433930000
ს/კ: 204422696
ტელ: 75-35-60

/ ნათელა ნატროშვილი /